

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

12.12.2013 წელი

2 ეგზ.

ქედის მუნიციპალიტეტი

აუდიტის ანგარიში № 17/105

2012 წლის 1 იანვარი - 2013 წლის 1 იანვარი

სარჩევი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
პირობითი მოსაზრების საფუძვლები	4
2006-2007 წლებში წარმოშობილი ფულის დანაკლისი და სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე გამგეობის თანამშრომელზე, გამგეობის სასარგებლოდ დაკისრებული მატერიალური ზარალი	4
ქედის მუნიციპალიტეტის მიერ სოფელ გოგიაშვილების სპორტული მოედნის სამშენებლო სამუშაოები	6
დაბა ქედაში ქუჩების დაგვა-დასუფავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მომსახურება	8
პირობითი მოსაზრება	10
სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები	10
ბიუჯეტის შედგენა - შესრულების მდგომარეობა	10
შემოსულობები	10
ხარჯები	12
სხვა დარღვევა - ნაკლოვანებები	15
ფინანსური ბალანსი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	17
ბუღალტრული ბალანსი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.	29



დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა ქედის მუნიციპალიტეტის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის გაწეულ საქმიანობას, ნაერთ ბალანსს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ნაერთ ანგარიშგებებს ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციები, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციები, წმინდა ღირებულება, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია გაწეული საქმიანობის კანონიერებასა და მიზნობრიობაზე, ნაერთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.



აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველები

2006-2007 წლებში წარმოშობილი ფულის დანაკლისი და სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე გამგეობის თანამშრომელზე, გამგეობის სასარგებლოდ დაკისრებული მატერიალური ზარალი 470 536 ლარი ჯერ გამგეობის ბალანსში და შემდგომში მუნიციპალიტეტის აპარატის ბალანსში დებიტორულ დავალიანებად არ არის აღრიცხული.



ქედის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის ბალანსში¹, ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშზე ხაზინის მონაცემით ნაშთად ირიცხება 515 873, 37 ლარი, მათ შორის სს „ლიბერთი ბანკის“ ქედის ფილიალში ირიცხება 226 125,37 ლარი, ხოლო 290 148,00 ლარი თვითმმართველობის სახაზინო სამსახურის მონაცემებით 2006 წლიდან ირიცხება დანაკლისის სახით. არსებულ სხვაობაზე წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზით ირკვევა, რომ ქედის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 29 ოქტომბრის განაჩენით (საქმე N1-39) იმ პერიოდში გამგეობის თანამშრომლის მიერ საბუღალტრო საბუთების გაყალბებით ჩადენილი იქნა დანაშაული და დამნაშავე პირს სასჯელთან ერთად დაეკისრა ორგანიზაციის, ქედის რაიონის გამგეობის სასარგებლოდ 470 536 ლარის ზიანის ანაზღაურება². იმის გათვალისწინებით, რომ სახაზინო მონაცემებით და სასამართლო გადაწყვეტილებით 2006-2007 წლებში ფულის დანაკლისი და ზარალი დაკისრებულია გამგეობის თანამშრომელზე, გამგეობის სასარგებლოდ, ამდენად იმ დროს მოქმედი საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 27 დეკემბრის N1278 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 30-ე მუხლის მე-14 პუნქტისა და ამჟამად მოქმედი საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-14 მუხლის მე-17 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, აღნიშნული ზარალი გამგეობის მიერ უნდა ასახულიყო ბალანსში დანაკლისის სახით, ხოლო შემდგომში 2012 წლის ბუღალტრულ ანგარიშგებაში, მოთხოვნების სახით, რაც ფაქტობრივად არ განხორციელებულა.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შპს „მაია“-სადმი 2005-2006 წლების დავალიანების 2012 წელში ვალდებულებად აღიარება და ბიუჯეტიდან 13 230 ლარის გადახდის აუცილებლობა და მიზანშეწონილობა მაღალი რისკის შემცველია.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 14 თებერვლის N01-20/47 განკარგულებით აღიარებულია 2012 წლის ვალდებულებად და შესაბამისად გადახდილია ბიუჯეტიდან 2005-2006 წლებში შპს „მაია“-სადმი ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დავალიანება 13 230 ლარი. დავალიანებად აღიარების

¹ აღნიშნული ინფორმაცია წერილობითი სახით 13.02.2013წ. მიწოდებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროზე.

² განაჩენი აღსრულებისათვის გადაცემულია აჭარა გურიის სააღსრულებლო ბიუროზე 2012 წლის 30 იანვარს.



საფუძველია დავალიანების დამდგენი დროებითი სამუშაო ჯგუფის³ 2012 წლის 30 იანვრის სხდომის ოქმი (N1). წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზით ირკვევა, რომ სამუშაო ჯგუფის წევრებს წარმოდგენილი აქვს მუნიციპალიტეტის თემების მიხედვით რწმუნებულების მოხსენებითი ბარათები, სადაც მითითებულია, რომ 2005-2006 წლებში ცალკეულ თემებში შეკეთდა და თოვლის საფარისაგან გაიწმინდა საავტომობილო გზის მონაკვეთი და გაიხარჯა სხვადასხვა რაოდენობის საწვავი (150 ლიტრი, 180 ლიტრი, 330 ლიტრი, 2000 ლიტრი და სხვა). წარმოდგენილ სამუშაოს შესრულების აქტზე ხელს აწერს თემის რწმუნებული, მძღოლი, გზის ოსტატი და სხვა პირები. წარმოდგენილი მტკიცებულებებით ვერ დასტურდება შპს „მაია“-ს მიერ 2005-2006 წლებში საკრებულოზე ფაქტობრივად მიწოდებული საწვავის რაოდენობა და ღირებულება, საწვავი არ არის ასახული მუნიციპალიტეტის საბუღალტრო ჩანაწერებში, არ არის წარმოდგენილი მიმწოდებლის მიერ იმ პერიოდში გამოწერილი შესაბამისი ანგარიშფაქტურა და მტკიცებულება დავალიანებასთან მიმართებაში, წარმოდგენილ სამუშაოს შესრულების ოქმებში არ არის მითითებული თუ კონკრეტულად როდის, გზის რა მონაკვეთზე, ვის ბალანსზე რიცხულ გზაზე, ვისი დავალებით და ვის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვით შესრულდა სამუშაოები. ამდენად, საკრებულოს მიერ შპს „მაია“-სადმი 2005-2006 წლების დავალიანების აღიარება და ბიუჯეტიდან 13 230 ლარის გადახდის აუცილებლობა და მიზანშეწონილობა მაღალი რისკის შემცველია.

ქედის მუნიციპალიტეტის მიერ სოფელ გოგიაშვილების სპორტული მოედნის სამშენებლო სამუშაოების ღირებულება, დაზუსტებულ ღირებულებასთან შეადრებით კანონდარღვევითაა გაზრდილი 16,87%-ით- 3 281,17 ლარით, ხოლო შეთანხმების საფუძველზე შემცირებული და გაზრდილი სამშენებლო სამუშაოების საწყის ეტაპზე სატენდერო წინანადებაში გაუთვალისწინებლობა პრეტენდენტთა თანაბარ პირობებში კონკურენციისა და სხვა შესაძლო პრეტენდენტთა შეზღუდვის მაღალი რისკის შემცველია.

ქედის მუნიციპალიტეტის სამ სოფელში, მინი სპორტული მოედნების მშენებლობასთან დაკავშირებით გამოცხადებულ სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეობდა სამი პრეტენდენტი, საიდანაც უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტს შპს „გულები ო. დ.“ გაუფორმდა ხელშეკრულება⁴ 63 600 ლარის სამუშაოების განხორციელებაზე, მათ შორის სოფელ ზენდიდში 21 633 ლარის, სოფელ ნამლისევში 22 523 ლარის და სოფელ

³ კომისია 5 კაცის შემადგენლობით, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე დ. ტაკიძე; თავმჯდომარის მოადგილე ზ. თურმანიძე; სამუშაო ჯგუფის წევრები შ. ბერიძე; შ შერვაშიძე; ჯ ბერიძე.

⁴ N148, 27/08/2012წელი SPA N120020410. სამუშაოს დასრულების ვადაა 2012 წლის 27 აგვისტოდან 90 კალენდარული დღე.



გოგიაშვილებში 19 444 ლარის. წარმოდგენილი დოკუმენტებით სამუშაოები დასრულებულია და მუნიციპალიტეტის მიერ გადახდილია 63 600 ლარი. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მიმწოდებელთან გაფორმებული შეთანხმებით,⁵ შეცვლილია სატენდერო პირობით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოს რაოდენობა, მოცულობა და ღირებულება, კერძოდ, სამივე შემთხვევაში ამოღებულია ხარჯთაღრიცხვიდან მიწის სამუშაოები, სამღებრო სამუშაოები, პნევმოსატკეპნით და ბულონური შესასრულებელი სამუშაოები (სულ 12 შემთხვევა), შეცვლილია (რიგ შემთხვევაში გაზრდილია, რიგ შემთხვევაში შემცირებული) სამღებრო და ლითონკონსტრუქციების სამონტაჟო სამუშაოების მოცულობები. აღნიშნულის ხარჯზე საწყის დაზუსტებულ ხარჯთაღრიცხვასთან შედარებით, შეთანხმების შემდგომ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვებში შეცვლილია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს საერთო ღირებულებები კერძოდ, სოფელ ზენდიდის მოედნის სამუშაოების ღირებულება გაიზარდა 1,8%-ით, 402,50 ლარით (შეადგინა 22 035,44 ლარი), სოფელ ნამლისევის მოედნის ღირებულება გაიზარდა 5,65%-ით, 1 272,73 ლარით (შეადგინა 23 795,39 ლარი), ხოლო სოფელ გოგიაშვილების მოედნის სამუშაოების ღირებულება გაიზარდა 16,87%-ით, 3 281,17 ლარით⁶ (შეადგინა 29 725,21 ლარი). იმის გათვალისწინებით რომ შესყიდვის ობიექტის სავაჭრო ფასის განსაზღვრის ერთადერთი კრიტერიუმია შესასრულებელი სამუშაოების სახეობა და მოცულობა, ამდენად შეთანხმებით გათვალისწინებული მოცულობითი ცვლილებების საწყის ეტაპზე გაუთვალისწინებლობა პრეტენდენტთა თანაბარ პირობებში კონკურენციისა და სხვა შესაძლო პრეტენდენტთა შეზღუდვაზე მიუთითებს.

საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებული პირობების დარღვევით, ხარჯების ნაწილში, არასწორადაა სუბსიდიის ხარჯებზე მიკუთვნებული 78 400 ლარი.

2012 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში თვითმმართველი ერთეულის დეპუტატების სადეპუტატო უფლებამოსილების ხარჯები 78 400 ლარი, საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების მუხლის ნაცვლად (კოდი 21114), დაფინანსებულია სუბსიდიის მუხლით (კოდი 25)⁷.

⁵ N1. 30/10/2012 წელი.

⁶ დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის, * გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე-20 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის მოთხოვნები.

⁷ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ მე-4 თავის მოთხოვნები



ინდ. მეწარმე „ზვიად დიასამიძის“ მიერ აწვევისა და პირველი მაისის ზაგა-ბაღებისათვის მოწოდებული ინვენტარის და ადგილობრივი ბიუჯეტიდან გადახდილი 49 988 ლარის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობა მაღალი რისკის შემცველია და შიდა კონტროლის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის N154 განკარგულებით ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობას მიეცა თანხმობა სხვა შესყიდვებთან ერთად აწვევისა და პირველი მაისის ზაგა-ბაღებისათვის ინვენტარის შეძენა განხორციელებინა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. აღნიშნულის საფუძველზე 2012 წლის 11 სექტემბერს გაფორმებულია ხელშეკრულება (N160) ინდ. მეწარმე „ზვიად დიასამიძესთან“ 49 988 ლარად მიეწოდებინა სხვადასხვა სახის სკამები, კარადები და სამზარეულოს სხვა აქსესუარები. ხელშეკრულების შემადგენელი ფასების ცხრილის მიხედვით, მოსაწოდებელ ცალკეულ ინვენტარზე განსაზღვრულია დასახელება, მასალის ხარისხი, პარამეტრები და სხვა მახასიათებლები. წარმოდგენილი მტკიცებულების ანალიზით ირკვევა, რომ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების ინვენტარი მოწოდებული აქვს, შედგენილია მიღება-ჩაბარების აქტები და შესაბამისად გადახდილია სახელშეკრულებო ღირებულება, თუმცა წარმოდგენილ მიღება-ჩაბარების აქტებში და ინვენტარის შეძენის სასაქონლო ზედნადებებში არ არის მითითებული ის პარამეტრები და მახასიათებლები, რაც გათვალისწინებული იყო სახელშეკრულებო პირობებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულფასოვნად შესრულება და ბიუჯეტიდან გადახდილი თანხების სახელშეკრულებო პირობებთან შესაბამისობა მაღალი რისკის შემცველია და შიდა კონტროლის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

დაბა ქედაში ქუჩების დაგვა-დასუფავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მომსახურებაზე სატენდერო პირობაში და შემდგომში შპს „ქედის კომუნალურსერვისთან“ ხელშეკრულებით 6 886 ლარის ხარჯების გაწევის ვალდებულების აღება საფუძველს მოკლებულია, ხოლო ფაქტობრივად 6314 ლარის ხარჯების გაწევა საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვაზე მიუთითებს.

მუნიციპალიტეტის მიერ დაბა ქედის ქუჩებისა და თემის ცენტრის დაგვა-დასუფავების მომსახურების შესყიდვისათვის შედგენილ სატენდერო წინადადებაში გათვალისწინებული იყო დაბა ქედის ქუჩების, ტროტუარების, სავალი ნაწილების, თემის



ცენტრების დაგვა-დასუფთავება და სანიაღვრე არხების გაწმენდა, სავარაუდო ღირებულებით 40 000 ლარად და ზამთრის პერიოდში ადმინისტრაციული შენობების და ქუჩების თოვლისაგან გაწმენდა, სავარაუდო ღირებულებით 4 000 ლარად. გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA 120000311) გამარჯვებულად აღიარებული იქნა შპს „ქედის კომუნალურსერვისი“ და გაფორმდა ხელშეკრულება⁸ 38 890 ლარის მომსახურების გაწევაზე. ფაქტობრივად შესრულებაში ნაჩვენებია და გადახდილია 35 200,58 ლარი⁹. წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზით ირკვევა, რომ საწყის სატენდერო წინადადების ფასების ცხრილში, შემდგომში სატენდერო პირობაშიც და დაზუსტებულ ხარჯთაღრიცხვაშიც შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებები შეფასებული იქნა ცალკეული სამუშაოს სახეობების მიხედვით კერძოდ, ტერიტორიის დაგვის ღირებულება (ცხრილი N1) პერიოდულობისა და დასაგველი ფართობის გათვალისწინებით 27 797 ლარი, სანიაღვრე არხების გაწმენდა პერიოდულობისა და არხების სიგრძის გათვალისწინებით (ცხრილი N2) 1 004 ლარი, დაბა ქედაში ქუჩების დაგვა-დასუფთავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (ცხრილი N3) 6 886 ლარი და ზამთრის პერიოდში თოვლისაგან გაწმენდის სამუშაოები 3 303 ლარი (ცხრილი N4). იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანის მომსახურებას 2012 წლის 24 იანვრიდან ასრულებდა შპს „სანდასუფთავება“¹⁰, დაბა ქედის ქუჩებისა და თემის ცენტრის დაგვა-დასუფთავების მომსახურების სატენდერო წინადადებაში განფასებული დაბა ქედაში ქუჩების დაგვა-დასუფთავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების 6 886 ლარად (ცხრილი N3) მომსახურების ღირებულება საფუძველს მოკლებულია. ამდენად, წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით, დაბა ქედაში ქუჩების დაგვა-დასუფთავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (ცხრილი N3) მომსახურებისათვის სატენდერო პირობაში და შემდგომში შპს „ქედის კომუნალურსერვისთან“ ხელშეკრულებაში 6 886 ლარის ხარჯების გაწევის ვალდებულების აღება საფუძველს არის მოკლებული, ხოლო (ფაქტობრივად გადახდილია 6 314 ლარი) იდენტურ მოსახურებაზე ბიუჯეტიდან დამატებით 6 314 ლარის გადახდა საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვაზე მიუთითებს.

⁸ N20. 25/01/2012 წელი.

⁹ ფაქტობრივად დაფინანსებულია დაგვა-დასუფთავება-25 487 ლარი, თოვლის გაწმენდა -2 478 ლარი, არხების გაწმენდა- 921,58 ლარი, ნაგვის გატანა-6 314 ლარი.

¹⁰ N16. 24/01/2012 წელი, სახელშეკრულებო ღირებულება 12 360 ლარი, SPA120000934.



პირობითი მოსაზრება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს ქედის მუნიციპალიტეტის ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა მოცემული თარიღებით, აგრეთვე საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

შიდა კონტროლის სისუსტეები:

ბიუჯეტის შედგენა - შესრულების მდგომარეობა

❖ თვითმმართველი ერთეულის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობებისა და ხარჯების ნაწილში გეგმის შეუსრულებლობა ბიუჯეტის არასრულყოფილ დაგეგმვასა და შიდა კონტროლის სისუსტეზე მიუთითებს.

შემოსულობები

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 21 დეკემბრის N 44 დადგენილებით დამტკიცებულია 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი, სადაც შემოსულობები განისაზღვრა 6 396 192 ლარით, მათ შორის შემოსავლები 6 384 192 ლარი, არაფინანსური აქტივების კლება 12 000 ლარი. ფაქტობრივად საკასო შესრულება შეადგენს გეგმასთან შედარებით 48 658 ლარით მეტს, 6 432 850 ლარს, მათ შორის შემოსავლები 47 671 ლარით მეტს, 6 419 863 ლარს, არაფინანსური აქტივების კლება 987 ლარით მეტს, 12 987 ლარს.

✓ შემოსავლები

❖ გადასახადები

გეგმით გათვალისწინებული იყო 263 600 ლარის მიღება, ფაქტობრივად მიღებულია 267 910 ლარი, ანუ გეგმასთან შედარებით 4 910 ლარით მეტი.



❖ გრანტები

გეგმით გათვალისწინებული იყო 5 764 102 ლარის მიღება, ფაქტობრივად მიღებულია 5 747 849 ლარი, ანუ 289 253 ლარით ნაკლები, მათ შორის:

გათანაბრებითი ტრანსფერი 2 827 800 ლარი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ტრანსფერი 2 298 970 ლარი სრულადაა დაფინანსებული. საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გათვალისწინებული 16 000 ლარი არ არის დაფინანსებული, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული 571 332 ლარიდან დაფინანსებულია 99,9 % - 571 093 ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გათვალისწინებული სპეციალური ტრანსფერი 637 332 ლარიდან დაფინანსებული 97,44% - 621 079 ლარი, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გათვალისწინებული 50 000 ლარიდან დაფინანსებულია 99,9% - 49 986 ლარი.

❖ სხვა შემოსავლები

გეგმით გათვალისწინებული იყო 356 490 ლარის მიღება, ფაქტობრივად მიღებულია 404 104 ლარი, ანუ გეგმასთან შედარებით 47 614 ლარით მეტი.

ამდენად, ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსულობების საერთო გეგმის შესრულების პირობებში ბიუჯეტით გათვალისწინებული პარამეტრები არ შესრულებულა: საქართველოს საწარმოთა ქონების ნაწილში (გეგმა 250 000 ლარი, შესრულება 249 879 ლარი) 0,5% -121 ლარით, სპეც ტრანსფერის ნაწილში (გეგმა 637 332 ლარი, შესრულება 621 079 ლარი) 2,55%-16 253 ლარით, პროცენტების შემოსავლის ნაწილში (გეგმა 160 000 ლარი, შესრულება 158 337 ლარი) 1,04%-1 663 ლარით, ჯარიმებისა და სანქციების ნაწილში (გეგმა 18 000 ლარი, შესრულება 17 096 ლარი) 5,02%-904 ლარით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს¹¹ მიერ სხვა ადგილობრივ მოსაკრებლებთან ერთად დადგენილია დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობა, დამტკიცებულია გადახდის ინსტრუქცია და განპირობებულია მოსაკრებლის გადახდევინებისათვის პასუხისმგებელი პირი. აუდიტის პერიოდში მოპოვებული მტკიცებულებებით ირკვევა, რომ 2012 წელში სულ ექვემდებარებოდა ადგილობრივ ბიუჯეტში მოსაკრებლის სახით გადახდას 40 755,22 ლარი, ფაქტობრივად კი გადახდილია 32 207,45 ლარი, ანუ გადასახდელი გეგმის 29,16%-11 885,12 ლარით ნაკლები.

¹¹ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 20 მარტის N39 დადგენილება ცვლილებებით: N79,17/09/2007წ; N7,22/02/2010წ; N28,28/10/2011წ.



ხარჯები

დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის 2012 წლის გასაწევი ხარჯების ოდენობა განსაზღვრულია 6 671 830 ლარით, ფაქტობრივად საკასო ხარჯები შეადგენს 97,17%- 6 482 964 ლარს, ანუ 188 866 ლარით ნაკლებს.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით.

დასახელება	2012 წლის დამტკიცებული გეგმა	2012 წლის დაზუსტებული გეგმა	2012 წლის საკასო შესრულება	გადახრა გეგმასა და საკასო შესრულებას შორის
ქედის მუნიციპალიტეტი	6,554.830	6,671.830	6,482.964	-188.866
ხარჯები	4,690.430	4,807.430	4,679.082	-128.348
შრომის ანაზღაურება	1,667.265	1,667.265	1,666.928	-0.337
საქონელი და მომსახურება	842.185	844.155	770.117	-74.038
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	25.255	25.255	25.250	-0.005
მივლინებები	26.900	26.900	20.859	-6.041
ოფისის ხარჯები	225.650	225.650	205.706	-19.944
წარმომადგენლობითი ხარჯები	35.700	35.700	19.225	-16.475
რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი პიგიენის საგნების შეძენის ხარჯები	15.550	15.550	15.499	-0.051
ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები	149.030	151.000	150.314	-0.686
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	364.100	364.100	333.264	-30.836
სუბსიდიები	1,572.770	1,572.770	1,559.816	-12.954
სოციალური უზრუნველყოფა	135.430	305.460	294.142	-11.318
სხვა ხარჯები	472.780	417.780	388.079	-29.701
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,849.062	1,849.062	1,788.544	-60.518
ვალდებულებების კლება	15.338	15.338	15.338	0.000

ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯებით (50 000 ლარი) მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის პროგრამის მიზნების სრულყოფილად მიღწევა და სრულფასოვნად შეფასება რისკის შემცველია.



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს¹² დადგენილებით დამტკიცდა „ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების“ პროგრამა, 50 000 ლარის ბიუჯეტით, რომელიც ათვისებულია სრულად. პროგრამის მიხედვით მოსარგებლე პირთა შერჩევა უნდა მოხდეს შემოსული განცხადებების საფუძველზე, შესაბამისი კომისიის მიერ, ხოლო სარგებლობის უპირატესობა ენიჭება ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოქალაქეებს. გასაცემი ერთჯერადი მატერიალური დახმარების ოდენობა განსაზღვრულია 50-200 ლარის ფარგლებში. წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზით ირკვევა, რომ ბენეფიციარ მოქალაქეთა შერჩევა განხორციელებულია შესაბამისი კომისიის მიერ, შედგენილია კომისიის სხდომის ოქმები და განსაზღვრულია ცალკეულ მოქალაქეზე გასაცემი თანხის ოდენობები (50 ლარი, 80 ლარი, 100 ლარი, 140 ლარი, 150 ლარი, 200 ლარი). ოქმებში, რომლის საფუძველზეც განხორციელდა ბენეფიციართა შერჩევა, არ არის მითითებული პროგრამის შესაბამისად ჯანმრთელობის პრობლემის მქონე მოქალაქეების შესახებ სათანადო მტკიცებულებები, გაურკვეველია რამდენ მოქალაქეს ჰქონდა შემოტანილი განცხადება, რა უპირატესობით იქნა შერჩეული ბენეფიციარები, რამდენს ეთქვა უარი და რა მოტივით, რის საფუძველზე განხორციელდა გასაცემი თანხების ოდენობის განსაზღვრა. ამდენად, წარმოდგენილი მტკიცებულებებით მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის პროგრამის ფარგლებში გაწეული 50 000 ლარით მოსახლეობისათვის პროგრამის მიზნების სრულყოფილად მიღწევა და სრულფასოვნად შეფასება რისკის შემცველია.

ქედის მუნიციპალიტეტის მიმღები კომისიის (მშენებლობა დამთავრებული, რემონტის, რეკონსტრუქციის) მიერ წონიარისის ბაგა-ბაღის მეორე სართულის დაშენების სამუშაოების ხარვეზით ჩაბარება და სათანადო რეაგირების დროულად გაუტარებლობა, ხელშეკრულების პირობების არაჯეროვან შესრულებაზე და შიდა კონტროლის სისუსტეზე მიუთითებს.

ქედის მუნიციპალიტეტსა და შპს „მინდოზა“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების¹³ საფუძველზე შესრულებულია წონიარისის ბაგა-ბაღის მეორე სართულის დაშენების სამუშაოები და გადახდილია 63 382 ლარი. წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზით ირკვევა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში (2012 წლის 15 ნოემბერი) 2012 წლის 14 ნოემბერს მიმწოდებელს წარმოდგენილი აქვს სამუშაოს დასრულების აქტები. მუნიციპალიტეტის შესაბამისი მიმღები კომისიის მიერ განხილულია აღნიშნული მდგომარეობა და ჩაითვალა დასრულებულად, ხოლო

¹² 2012 წლის 14 დეკემბრის N01-20/157 დადგენილება

¹³ N138. 13/08/2012 წელი. SPA 120019845.



საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით¹⁴ მიღებული იქნა ექსპლუატაციაში. სამუშაოების მიღებიდან 15 დღის შემდეგ, 2012 წლის 12 დეკემბერს შედგენილი დეფექტური აქტით ირკვევა, რომ ფაქტობრივად სამუშაოები სრულყოფილად არ იყო დასრულებული კერძოდ, მოთუთიებული თუნუქის სახურავის და შიდა კედლების სამღებრო სამუშაოები შესრულებული იყო ხარვეზებით და საჭიროებდა დამატებით სამუშაოების განხორციელებას, რაც 2012 წელში არ განხორციელებულა¹⁵. აღნიშნულიდან გამომდინარე ხარვეზით ჩატარებული სამუშაოების კომისიის მიერ სრულყოფილად მიღება და სათანადო ღონისძიებების დროულად გაუტარებლობა ხელშეკრულების პირობების არაჯეროვან შესრულებაზე, მიმწოდებელზე სათანადო ღონისძიების გაუტარებლობაზე და შიდა კონტროლის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

დარღვეულია გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მოთხოვნები და შპს „გულები ო.დ“-სთან გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N94 ხელშეკრულებაში არასწორადაა მითითებული, ხოლო ინდ. მეწარმე „ზურაბ აბულაძე“-სთან გაფორმებულ N121 ხელშეკრულებაზე არ არის მითითებული სატენდერო განცხადების ნომერი, რაც შიდა კონტროლის სისუსტეზე მიუთითებს.

❖ ქედის საფეხბურთო მოედნის რეაბილიტაციისათვის 58 000 ლარის ღირებულების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე განხორციელებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტად გამოვლინდა შპს „გულები ო.დ“ და 2012 წლის 18 ივნისს გაფორმებულია N94 ხელშეკრულება, სადაც სატენდერო განცხადების ნომრად (SPA) მითითებულია SPA 120013850. წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზით ირკვევა, რომ ფაქტობრივად სააგენტოს ვებგვერდზე სატენდერო განცხადების ნომრად მითითებულია¹⁶ SPA120013870.

❖ ქედის კულტურის სახლის დარბაზისათვის სკამების (სავარძლების) შესყიდვისათვის გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა ინდ. მეწარმე „ზურაბ აბულაძე“ და გაფორმებულია N121 ხელშეკრულება 33 700 ლარის

¹⁴ N01-19/513, 04/12/2012 წელი.

¹⁵ სამუსაოს შემოწმების აქტით ხარვეზები გამოსწორებულია 2013 წლის სექტემბრის 13 სექტემბრისათვის.

¹⁶ დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე-19 მე-6 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.



ღირებულების სკამების მოწოდებაზე. წარმოდგენილ ხელშეკრულებაში არ არის მითითებული¹⁷ სატენდერო განცხადების ნომრი (SPA).

სხვა დარღვევა -ნაკლოვანებები

❖ ქედის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი¹⁸ ქ. ბათუმის მერიის მიერ დაგეგმილ კულინარულ გამოფენაში ქედის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, სავარაუდო ღირებულებით 5 550 ლარი. ტენდერში მონაწილეობდა ერთი პრეტენდენტი ი/მ მერაბ დიასამიძე, რომელიც გამარჯვებულად გამოცხადდა და გაუფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება¹⁹ 5 550 ლარზე. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა ორ შემთხვევაში შეიცავდა უზუსტობებს მომსახურების ერთეულ ღირებულებასა და საერთო ღირებულებებს შორის,²⁰ რომელთა სხვაობამ დარიცხვების გარეშე შეადგინა 423 ლარი, ხოლო მოგების (7%) და დღგ-ს ჩათვლით 534 ლარი, თუმცა შემსყიდველის მიერ არ იქნა მოთხოვნილი აღნიშნული დოკუმენტაციის დაზუსტება,²¹ რაც შესაძლოა საფუძველი გამხდარიყო პრეტენდენტის დისკვალიფიკაციისა და საბიუჯეტო ხარჯების 534 ლარით შემცირების. წარმოდგენილი მტკიცებულებებით მიმწოდებელი 2012 წლის 28 დეკემბერს, წინასწარი გადახდის პირობით დაფინანსებულია 4761.15 ლარით, თუმცა ღონისძიებისათვის თანხა არ გახარჯულა და დაბრუნებულია ბიუჯეტში 2012 წლის 31 დეკემბერს.

❖ მუნიციპალიტეტისათვის 10 000 ლარის სავარაუდო ღირებულების ავეჯის შესყიდვაზე გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში²² გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „E-2010“, რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება²³ 7 960

¹⁷ დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე-19 მე-6 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.

¹⁸ SPA 120028406

¹⁹ ხელშეკრულება N208 25.12.2012წ

²⁰ 1. მონაწილეთა დღიური ნორმა (30 კაცი)- რაოდენობა 30| ერთეულის ღირებულება 1 ლარი| სულ ღირებულება 450 ლარი. სხვაობა 420 ლარი (30X1=30 შესაბამისად 450-30=420).

2. პური თონის რაოდენობა 20| ერთეულის ღირებულება 0,7 ლარი| სულ ღირებულება 24 ლარი. სხვაობა 3 ლარი (30X0.7=21 შესაბამისად 24-21=3).

²¹ დარღვეულია „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების მოთხოვნები.

²² SPA120019764

²³ ხელშეკრულება N120 24.07.2012წ.



ლარზე. სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული იყო²⁴ საქონლის მიწოდება პერიოდულად ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 კალენდარულ დღეში, მათ შორის სკამების (74 ცალი) მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარულ დღეში. პრეტენდენტის მიერ საწყის ეტაპზე წარმოდგენილ და შემდგომში დაზუსტებულ ხარჯთაღრიცხვაში აღნიშნულია, რომ სკამების მიწოდება განხორციელდება მოთხოვნიდან 5 კალენდარულ დღეში. წარმოდგენილ უზუსტობასთან დაკავშირებით შემსყიდველის მიერ არ არის განხორციელებული შესაბამისი რეაგირება, რაც შიდა კონტროლის სისუსტესა და პრეტენდენტთა შესაძლო შეზღუდვაზე მიუთითებს. იმის გათვალისწინებით, რომ სკამები ფაქტობრივად მიწოდებულია 17 დღის დაგვიანებით 2012 წლის 14 აგვისტოს²⁵, სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების გაფორმების შეთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრებოდა პირგასამტეხლოს სახით 202 ლარი.

უფროსი აუდიტორი

ნადიმ ბოლქვაძე

09.12.2013⁶

აუდიტორი

გურამ დუმბაძე

09.12.2013⁶

²⁴ 2.4.1 პუნქტი

²⁵ ელ. სასაქონლო ზედნადები N 0024082429

სარეკომენდაციო წერილი

აუდიტის ობიექტი: ქედის მუნიციპალიტეტი

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელი:
ბატონი ბადრი დიასამიძე

1. გამოვლენილი გარემოება

ქედის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის ბალანსში, ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშზე ხაზინის მონაცემით ნაშთად ირიცხება 515 873, 37 ლარი, მათ შორის სს „ლიბერთი ბანკის“ ქედის ფილიალში ირიცხება 226 125,37 ლარი, ხოლო 290 148,00 ლარი თვითმმართველობის სახაზინო სამსახურის მონაცემებით 2006 წლიდან ირიცხება დანაკლისის სახით. არსებულ სხვაობაზე წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზით ირკვევა, რომ ქედის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 29 ოქტომბრის განაჩენით (საქმე N1-39) იმ პერიოდში გამგეობის თანამშრომლის მიერ საბუღალტრო საბუთების გაყალბებით ჩადენილი იქნა დანაშაული და დამნაშავე პირს სასჯელთან ერთად დაეკისრა ორგანიზაციის, ქედის რაიონის გამგეობის სასარგებლოდ 470 536 ლარის ზიანის ანაზღაურება. იმის გათვალისწინებით, რომ სახაზინო მონაცემებით და სასამართლო გადაწყვეტილებით 2006-2007 წლებში ფულის დანაკლისი და ზარალი დაკისრებულია გამგეობის თანამშრომელზე, გამგეობის სასარგებლოდ, ამდენად იმ დროს მოქმედი საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 27 დეკემბრის N1278 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 30-ე მუხლის მე-14 პუნქტისა და ამჟამად მოქმედი საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-14 მუხლის მე-17 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, აღნიშნული ზარალი გამგეობის მიერ უნდა ასახულიყო ბალანსში დანაკლისის სახით, ხოლო შემდგომში 2012 წლის ბუღალტრულ ანგარიშგებაში, მოთხოვნების სახით, რაც ფაქტობრივად არ განხორციელებულა.

რეკომენდაცია

თვითმმართველი ერთეულის შესაბამისმა სამსახურმა უზრუნველყოს ზემოაღნიშნული დანაკლისის ბუღალტრულ ანგარიშგებაში მოთხოვნების სახით აღრიცხვა და შესაბამისად საბალანსო მონაცემების კორექტირება.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

2. გამოვლენილი გარემოება

ქედის მუნიციპალიტეტის სამ სოფელში, მინი სპორტული მოედნების მშენებლობასთან დაკავშირებით გამოცხადებულ სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეობდა სამი პრეტენდენტი, საიდანაც უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტს შპს „გულები ო. დ.“ გაუფორმდა ხელშეკრულება 63 600 ლარის სამუშაოების განხორციელებაზე, მათ შორის სოფელ ზენდიდში 21 633 ლარის, სოფელ ნამლისევში 22 523 ლარის და სოფელ გოგიაშვილებში 19 444 ლარის. წარმოდგენილი დოკუმენტებით სამუშაოები დასრულებულია და მუნიციპალიტეტის მიერ გადახდილია 63 600 ლარი. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მიმწოდებელთან გაფორმებული შეთანხმებით, შეცვლილია სატენდერო პირობით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოს რაოდენობა, მოცულობა და ღირებულება, კერძოდ, სამივე შემთხვევაში ამოღებულია ხარჯთაღრიცხვიდან მიწის სამუშაოები, სამღებრო სამუშაოები, პნევმოსატკეპნით და ბულდოზერით შესასრულებელი სამუშაოები (სულ 12 შემთხვევა), შეცვლილია (რიგ შემთხვევაში გაზრდილია, რიგ შემთხვევაში შემცირებული) სამღებრო და ლითონკონსტრუქციების სამონტაჟო სამუშაოების მოცულობები. აღნიშნულის ხარჯზე საწყის დაზუსტებულ ხარჯთაღრიცხვასთან შედარებით, შეთანხმების შემდგომ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვებში შეცვლილია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს საერთო ღირებულებები კერძოდ, სოფელ ზენდიდის მოედნის სამუშაოების ღირებულება გაიზარდა 1,8%-ით, 402,50 ლარით (შეადგინა 22 035,44 ლარი), სოფელ ნამლისევის მოედნის ღირებულება გაიზარდა 5,65%-ით, 1 272,73 ლარით (შეადგინა 23 795,39 ლარი), ხოლო სოფელ გოგიაშვილების მოედნის სამუშაოების ღირებულება გაიზარდა 16,87%-ით, 3 281,17 ლარით (შეადგინა 29 725,21 ლარი). იმის გათვალისწინებით რომ შესყიდვის ობიექტის სავაჭრო ფასის განსაზღვრის ერთადერთი კრიტერიუმია შესასრულებელი სამუშაოების სახეობა და მოცულობა, ამდენად შეთანხმებით გათვალისწინებული მოცულობითი ცვლილებების საწყის ეტაპზე გაუთვალისწინებლობა პრეტენდენტთა თანაბარ პირობებში კონკურენციისა და სხვა შესაძლო პრეტენდენტთა შეზღუდვაზე მიუთითებს.

რეკომენდაცია

თვითმმართველი ერთეულის შესაბამისმა სამსახურმა მსგავსი ნაკლოვანების შემდგომში დაუშვებლობის მიზნით, დაგეგმვის ეტაპზე სამუშაოს მოცულობები, სახეობები და სავარაუდო ღირებულება დაადგინოს რეალური გაანგარიშებების საფუძველზე, რაც ხელს შეუწყობს ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნას და შეამცირებს პრეტენდენტთა შესაძლო შეზღუდვის რისკს.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

3. გამოვლენილი გარემოება

2012 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში თვითმმართველი ერთეულის დეპუტატების სადეპუტატო უფლებამოსილების ხარჯები 78 400 ლარი, საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების მუხლის ნაცვლად (კოდი 21114), დაფინანსებულია სუბსიდიის მუხლით (კოდი 25).

რეკომენდაცია

თვითმმართველი ერთეულის შესაბამისმა სამსახურმა ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით გაწეული საქმიანობის ანგარიშგება აწარმოოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის და ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

4. გამოვლენილი გარემოება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის N154 განკარგულებით ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობას მიეცა თანხმობა სხვა შესყიდვებთან ერთად აწჷესისა და პირველი მაისის ბაგა-ბაღებისათვის ინვენტარის შეძენა განეხორციელებინა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. აღნიშნულის საფუძველზე 2012 წლის 11 სექტემბერს გაფორმებულია ხელშეკრულება (N160) ინდ მეწარმე „ზვიად დიასამიძესთან“ 49 988 ლარად მიეწოდებინა სხვადასხვა სახის სკამები, კარადები და სამზარეულოს სხვა აქსესუარები. ხელშეკრულების შემადგენელი ფასების ცხრილის მიხედვით, მოსაწოდებელ ცალკეულ ინვენტარზე განსაზღვრულია დასახელება, მასალის ხარისხი, პარამეტრები და სხვა

მახასიათებლები. წარმოდგენილი მტკიცებულების ანალიზით ირკვევა, რომ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების ინვენტარი მოწოდებული აქვს, შედგენილია მიღება-ჩაბარების აქტები და შესაბამისად გადახდილია სახელშეკრულებო ღირებულება, თუმცა წარმოდგენილ მიღება-ჩაბარების აქტებში და ინვენტარის შეძენის სასაქონლო ზედნადებებში არ არის მითითებული ის პარამეტრები და მახასიათებლები, რაც გათვალისწინებული იყო სახელშეკრულებო პირობებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულფასოვნად შესრულება და ბიუჯეტიდან გადახდილი თანხების სახელშეკრულებო პირობებთან შესაბამისობა მაღალი რისკის შემცველია და შიდა კონტროლის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

რეკომენდაცია

თვითმმართველი ერთეულის ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს ეფექტური შიდა კონტროლის მექანიზმების შემუშავება და განვითარება რათა სრულად მოხდეს სამეურნეო ოპერაციების იდენტიფიცირება მათი მახასიათებლების და შინაარსის გათვალისწინებით.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

5. გამოვლენილი გარემოება

მუნიციპალიტეტის მიერ დაბა ქედის ქუჩებისა და თემის ცენტრის დაგვა-დასუფთავების მომსახურების შესყიდვისათვის შედგენილ სატენდერო წინადადებაში გათვალისწინებული იყო დაბა ქედის ქუჩების, ტროტუარების, სავალი ნაწილების, თემის ცენტრების დაგვა-დასუფთავება და სანიაღვრე არხების გაწმენდა, სავარაუდო ღირებულებით 40 000 ლარად და ზამთრის პერიოდში ადმინისტრაციული შენობების და ქუჩების თოვლისაგან გაწმენდა, სავარაუდო ღირებულებით 4 000 ლარად. გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA 120000311) გამარჯვებულად აღიარებული იქნა შპს „ქედის კომუნალურსერვისი“ და გაფორმდა ხელშეკრულება 38 890 ლარის მომსახურების გაწევაზე. ფაქტობრივად შესრულებაში ნაჩვენებია და გადახდილია 35 200,58 ლარი. წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზით ირკვევა, რომ საწყის სატენდერო წინადადების ფასების ცხრილში, შემდგომში სატენდერო პირობაშიც და დაზუსტებულ ხარჯთაღრიცხვაშიც შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებები შეფასებული იქნა ცალკეული სამუშაოს სახეობების მიხედვით კერძოდ, ტერიტორიის დაგვის

ღირებულება (ცხრილი N1) პერიოდულობისა და დასაგველი ფართობის გათვალისწინებით 27 797 ლარი, სანიაღვრე არხების გაწმენდა პერიოდულობისა და არხების სიგრძის გათვალისწინებით (ცხრილი N2) 1 004 ლარი, დაბა ქედაში ქუჩების დაგვა-დასუფავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (ცხრილი N3) 6 886 ლარი და ზამთრის პერიოდში თოვლისაგან გაწმენდის სამუშაოები 3 303 ლარი (ცხრილი N4). იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანის მომსახურებას 2012 წლის 24 იანვრიდან ასრულებდა შპს „სანდასუფავება“, დაბა ქედის ქუჩებისა და თემის ცენტრის დაგვა-დასუფავების მომსახურების სატენდერო წინადადებაში განფასებული დაბა ქედაში ქუჩების დაგვა-დასუფავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების 6 886 ლარად (ცხრილი N3) მომსახურების ღირებულება საფუძველს მოკლებულია. ამდენად, წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით, დაბა ქედაში ქუჩების დაგვა-დასუფავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (ცხრილი N3) მომსახურებისათვის სატენდერო პირობაში და შემდგომში შპს „ქედის კომუნალურსერვისთან“ ხელშეკრულებაში 6 886 ლარის ხარჯების გაწევის ვალდებულების აღება საფუძველს არის მოკლებული, ხოლო (ფაქტობრივად გადახდილია 6 314 ლარი) იდენტურ მოსახურებაზე ბიუჯეტიდან დამატებით 6 314 ლარის გადახდა საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვაზე მიუთითებს.

რეკომენდაცია

თვითმმართველი ერთეულის ხელმძღვანელობამ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები და უზრუნველყოს არარაციონალურად გახარჯული საბიუჯეტო სახსრების ადგილობრივ ბიუჯეტში დაბრუნება/აღდგენა.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

6. გამოვლენილი გარემოება

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით დამტკიცდა „ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების“ პროგრამა, 50 000 ლარის ბიუჯეტით, რომელიც ათვისებულია სრულად. პროგრამის მიხედვით მოსარგებლე პირთა შერჩევა უნდა მოხდეს შემოსული განცხადებების საფუძველზე, შესაბამისი კომისიის მიერ, ხოლო სარგებლობის უპირატესობა ენიჭება ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოქალაქეებს. გასაცემი ერთჯერადი მატერიალური დახმარების ოდენობა განსაზღვრულია 50-200 ლარის ფარგლებში.

წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზით ირკვევა, რომ ბენეფიციარ მოქალაქეთა შერჩევა განხორციელებულია შესაბამისი კომისიის მიერ, შედგენილია კომისიის სხდომის ოქმები და განსაზღვრულია ცალკეულ მოქალაქეზე გასაცემი თანხის ოდენობები (50 ლარი, 80 ლარი, 100 ლარი, 140 ლარი, 150 ლარი, 200 ლარი). ოქმებში, რომლის საფუძველზეც განხორციელდა ბენეფიციართა შერჩევა, არ არის მითითებული პროგრამის შესაბამისად ჯანმრთელობის პრობლემის მქონე მოქალაქეების შესახებ სათანადო მტკიცებულებები, გაურკვეველია რამდენ მოქალაქეს ჰქონდა შემოტანილი განცხადება, რა უპირატესობით იქნა შერჩეული ბენეფიციარები, რამდენს ეთქვა უარი და რა მოტივით, რის საფუძველზე განხორციელდა გასაცემი თანხების ოდენობის განსაზღვრა. ამდენად, წარმოდგენილი მტკიცებულებებით მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის პროგრამის ფარგლებში გაწეული 50 000 ლარით მოსახლეობისათვის პროგრამის მიზნების სრულყოფილად მიღწევა და სრულფასოვნად შეფასება რისკის შემცველია.

რეკომენდაცია

თვითმმართველი ერთეულის ხელმძღვანელობამ დეტალურად განსაზღვროს მუნიციპალური პროგრამების მიზნები და კრიტერიუმები, რაც შემდგომში პროგრამის სრულყოფილად შესრულების შეფასების საფუძველი გახდება.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

7. გამოვლენილი გარემოება

ქედის მუნიციპალიტეტსა და შპს „მინდოზა“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებულია წონიარისის ბაგა-ბაღის მეორე სართულის დაშენების სამუშაოები და გადახდილია 63 382 ლარი. წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზით ირკვევა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში (2012 წლის 15 ნოემბერი) 2012 წლის 14 ნოემბერს მიმწოდებელს წარმოდგენილი აქვს სამუშაოს დასრულების აქტები. მუნიციპალიტეტის შესაბამისი მიმღები კომისიის მიერ განხილულია აღნიშნული მდგომარეობა და ჩაითვალა დასრულებულად, ხოლო საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით მიღებული იქნა ექსპლუატაციაში. სამუშაოების მიღებიდან 15 დღის შემდეგ, 2012 წლის 12 დეკემბერს შედგენილი დეფექტური აქტით ირკვევა, რომ ფაქტობრივად სამუშაოები სრულყოფილად არ იყო დასრულებული კერძოდ, მოთუთიებული თუნუქის სახურავის და შიდა კედლების სამღებრო სამუშაოები შესრულებული იყო


ხარვეზებით და საჭიროებდა დამატებით სამუშაოების განხორციელებას, რაც 2012 წელში არ განხორციელებულა. აღნიშნულიდან გამომდინარე ხარვეზით ჩატარებული სამუშაოების კომისიის მიერ სრულოყოფილად მიღება და სათანადო ღონისძიებების დროულად გაუტარებლობა ხელშეკრულების პირობების არაჯეროვან შესრულებაზე, მიმწოდებელზე სათანადო ღონისძიების გაუტარებლობაზე და შიდა კონტროლის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

რეკომენდაცია

თვითმმართველი ერთეულის ხელმძღვანელობამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მონიტორინგის მიზნით, უზრუნველყოს ეფექტური შიდა კონტროლის მექანიზმის შემუშავება და განვითარება.


აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

უფროსი აუდიტორი/ნადიმ ბოლქვაძე



თარიღი 09.12.2013წ.

აუდიტორი /გურამ დუმბაძე



თარიღი 09.12.2013წ.



დასახელება	შესაჯების კლასიფიკაცია	2012 წლის ფაქტობრივი გეგმა	2012 წლის დაგეგმიური გეგმა	2012 წლის საკისო შესრულება
შესასაღები ბიჭვინთის და მაროშის (უზუნდუკუა, ტრავნი და სხვა) გადამამუშავება	14154	2,500	2,500	2,250
სხვა არაკლასიფიცირებული რჩენა	14158			
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	33,990	33,990	30,557
ფინანსური მოსაკრებელი და ვადასაღები	1422	23,990	23,990	27,996
საერთაშორისო სავაჭრო მოსაკრებელი	14222			
საქონლო მოსაკრებელი	14223	0,300	0,300	0,253
საქონლო საფასური	14227			
საერთაშორისო ავტოსადგომის მოსაკრებელი	14229			
საქონლო მოსაკრებელი	142210			
საერთაშორისო სავაჭრო სავაჭრო მოსაკრებელი	142212			0,200
საერთაშორისო მოსაკრებელი	142213			
კულტურული მემკვიდრეობის პატრიმონტული არსების ინტერპრეტაციის მოსაკრებელი	142215			
ფინანსური მოსაკრებელი (საერთაშორისო) (საერთაშორისო)	142216			
ფინანსური მოსაკრებელი (საერთაშორისო) (საერთაშორისო)	142214	23,690	23,690	27,533
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	142299			
არასასაღი წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	10,000	10,000	11,561
შესასაღები საქონლის რეალიზაცია	14231			
შესასაღები მომსახურების გაყიდვა	14232	10,000	10,000	11,561
ჯარიმები, სანქციები და სურათები	143	18,000	18,000	17,096
ნესაფუძვლიანი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	144			
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	44,000	44,000	49,932
არაფინანსური აქტივების კლუბი	31	12,000	12,000	12,987
ძირითადი აქტივები	311	6,370	6,370	6,810
არაფინანსური აქტივები	314	5,630	5,630	6,177
ბანკი	3141	5,630	5,630	6,177
სხვა ბანკური აქტივები	31432			
ფინანსური აქტივების კლუბი	32	0,000	0,000	0,000
სესიები	3214			
აქტივები და სხვა კაპიტალი	3215			
სხვა ფინანსური დაგეგმვები	323			
ვალდებულებების ზრდა	33	0,000	0,000	0,000
სავაჭრო				
საშინაო				

ქუდის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსი
ქუდის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსი





ორგ. კოდი	დასახელება	2012 წლის დგენილებები		2012 წლის დაზუსტებული ზეგმა		2012 წლის საკითხი	
		სულ	მათ შორის საბიუჯეტო ფონდები	სულ	მათ შორის საბიუჯეტო ფონდები	სულ	მათ შორის საბიუჯეტო ფონდები
	ქვეყნის მუნიციპალიტეტი	6 554,830	637,332	6 671,830	637,332	6 482,964	621,079
	მოქმედება რეცხვისთვის	177	0	0	0	0	0
	ხარჯები	4 690,430	16,000	4 807,430	16,000	4 679,082	0,000
	შრომის ანაზღაურება	1 667,265	0,000	1 667,265	0,000	1 666,928	0,000
	საქონელი და მომსახურება	842,185	16,000	844,185	16,000	770,117	0,000
	მატერიალურ მოქმედება ანაზღაურება	25,255	0,000	25,255	0,000	25,250	0,000
	მუდგომები	26,900	0,000	26,900	0,000	20,859	0,000
	ოფისის ხარჯები	225,850	0,000	225,850	0,000	205,708	0,000
	წარმომადგენლობითი ხარჯები	35,700	16,000	35,700	16,000	19,225	0,000
	რეზიდენციის, უსაფრთხოებისა და პირადი პოლიციის ხარჯები	15,550	0,000	15,550	0,000	15,499	0,000
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-მანათხის ხარჯები	149,030	0,000	151,000	0,000	150,314	0,000
	სხვა დამატებითი საქონელი და მომსახურება	364,100	0,000	364,100	0,000	333,264	0,000
	სუბსიდიები	1 572,770	0,000	1 572,770	0,000	1 559,816	0,000
	სოციალური უზრუნველყოფა	135,430	0,000	305,400	0,000	294,142	0,000
	სხვა ხარჯები	472,780	0,000	417,780	0,000	388,079	0,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1 849,062	621,332	1 849,062	621,332	1 788,544	621,079
	ვალდებულებების კლება	15,338	0,000	15,338	0,000	15,338	0,000
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	468,655	8,000	468,655	8,000	455,373	0,000
	მოქმედება რეცხვისთვის	20	0	0	0	0	0
	ხარჯები	435,685	8,000	435,685	8,000	424,253	0,000
	შრომის ანაზღაურება	259,745	0,000	259,745	0,000	259,680	0,000
	საქონელი და მომსახურება	97,350	8,000	97,350	8,000	86,173	0,000
	მატერიალურ მოქმედება ანაზღაურება	9,130	0,000	9,130	0,000	9,129	0,000
	მუდგომები	5,600	0,000	5,600	0,000	4,906	0,000
	ოფისის ხარჯები	36,870	0,000	36,870	0,000	35,970	0,000
	წარმომადგენლობითი ხარჯები	11,200	8,000	11,200	8,000	3,194	0,000
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-მანათხის ხარჯები	33,050	0,000	33,050	0,000	33,009	0,000
	სხვა დამატებითი საქონელი და მომსახურება	1,500	0,000	1,500	0,000	0,885	0,000
	სუბსიდიები	78,590	0,000	78,590	0,000	70,400	0,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	31,600	0,000	31,600	0,000	29,750	0,000
	ვალდებულებების კლება	1,370	0,000	1,370	0,000	1,370	0,000
01 02	მუნიციპალიტეტის გამგეობა	1 536,928	8,000	1 536,928	8,000	1 501,142	0,000
	მოქმედება რეცხვისთვის	125	0	0	0	0	0
	ხარჯები	1 463,760	8,000	1 463,760	8,000	1 433,915	0,000
	შრომის ანაზღაურება	1 131,935	0,000	1 131,935	0,000	1 131,673	0,000
	საქონელი და მომსახურება	331,825	8,000	331,825	8,000	302,242	0,000
	მატერიალურ მოქმედება ანაზღაურება	11,375	0,000	11,375	0,000	11,371	0,000
	მუდგომები	16,800	0,000	16,800	0,000	13,201	0,000
	ოფისის ხარჯები	127,210	0,000	127,210	0,000	112,623	0,000
	წარმომადგენლობითი ხარჯები	12,500	8,000	12,500	8,000	4,498	0,000
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-მანათხის ხარჯები	90,040	0,000	90,040	0,000	89,572	0,000
	სხვა დამატებითი საქონელი და მომსახურება	73,900	0,000	73,900	0,000	70,977	0,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	72,430	0,000	72,430	0,000	66,489	0,000
	ვალდებულებების კლება	0,738	0,000	0,738	0,000	0,738	0,000
01 02 01	მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური	537,408	8,000	537,408	8,000	522,531	0,000
	მოქმედება რეცხვისთვის	24	0	0	0	0	0
	ხარჯები	481,840	8,000	481,840	8,000	470,096	0,000
	შრომის ანაზღაურება	252,285	0,000	252,285	0,000	252,259	0,000
	საქონელი და მომსახურება	229,555	8,000	229,555	8,000	217,837	0,000
	მატერიალურ მოქმედება ანაზღაურება	11,375	0,000	11,375	0,000	11,371	0,000



	მუდარებები	10,800	0,000	10,800	0,000	10,106	0,000
	ოფისის ხარჯები	65,340	0,000	65,340	0,000	65,173	0,000
	წარმომადგენლობითი ხარჯები	12,500	8,000	12,500	8,000	4,498	0,000
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-მანამოს ხარჯები	56,440	0,000	56,440	0,000	56,439	0,000
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	73,100	0,000	73,100	0,000	70,250	0,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	54,830	0,000	54,830	0,000	51,697	0,000
	ვალდებულებების კლება	0,738	0,000	0,738	0,000	0,738	0,000
01 02 02	მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახური	105,110	0,000	105,110	0,000	101,243	0,000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	8		0		0	
	ხარჯები	104,810	0,000	104,810	0,000	101,023	0,000
	შრომის ანაზღაურება	83,800	0,000	83,800	0,000	83,716	0,000
	საქონელი და მომსახურება	21,010	0,000	21,010	0,000	17,307	0,000
	მუდარებები	1,300	0,000	1,300	0,000	0,988	0,000
	ოფისის ხარჯები	13,710	0,000	13,710	0,000	10,417	0,000
